განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანულ კანონზე "სახალხო დამცველის შესახებ"
ცვლილებებისა და დამატებებისა შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

1996 წელს მიღებულ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" კანონში, რომელიც მოგვიანებით განხორციელებული ცვლილებებით „სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონს წარმოადგენს, ცვლილებებისა და დამატებების შეტანას განაპირობებს სახალხო დამცველის საქმიანობისას გამოვლენილი მთელი რიგი ნაკლოვანებები და ხარვეზები, რაც ერთის მხრივ სახალხო დამცველს ანიჭებს გარკვეულ უფლებამოსლებებს, მეორეს მხრივ მათი არასწორი და ხშირ შემთხვევაში მოძველებული რეგლამენტაცია შეუძლებელს ხდის რიგი უფლებამოსილებების განხორციელებას. შესაბამისად პრაქტიკამ ცხადყო მოქმედ კანონში ცვლილებების შეტანის და ზოგიერთი დებულების ზუსტი რეგლამენტაციის აუცილებლობა.

ა.ბ) კანონიპროეტის მიზანი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს სახალხო დამცველის ფუქნციების დაზუსტებას, სრულყოფას, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას, ისეთი ახალი ფუქნციების მინიჭება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისიწნებული. მაგალითად, გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციით გათვალსიწინებული ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესარულება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტით სახალხო დამცველს უფლება ენიჭება საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება მიანდოს მისი სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ პირს, რომელიც სარგებლობს მისი უფლებებით და დაცვის იმ გარანტიებით, რომლითაც სარგებლობს საახალხო დამცველი. ასევე სახალხო დამცველი ზედამხედველობას განახორციელებს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ასევე იურიდიულ პირთა მხრიდან ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე.
სახალხო დამცველს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, კერძოდ ადამიანის უფლების დარღვევის ფაქტის შესწავლისას უფლება ეძლევა გამოიყენოს აუდიო, ვოდეო და სხვა ტექნიკური საშუალებები.
სახალხო დამცველი ახორციელებს რა გაეროს ,'წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან სასჯელის წინააღმდეგ'' კონვენციიც ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებულ პრევენციულ ღონისძიებებს, აყალიბებს პრევენციული ეროვნული ფუნქციების განმახორციელებელ ჯგუფს,რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, წინასწარ პატიმრობაში მყოფ და თავისუფლებააღკვეთილ პირთ მდგომარეობას. ხდება სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადის გასელამდე არჩევის წესის შემოღება

წარმოდგენილი კანონპროექტით სახალხო დამცველს უფლება ენიჭება დაიკავოს სხვა ისეთი ტანამდებობა, რომელიც მას დაევალება სპეციალური კანონით. გახლავთ შეწყალების კომისიის მუდმივი წევრის სტატუსი.
რეგლამენტში წარდგენილია ცვლილება, რომ სახალხო დამცველის კანდიდატურის წარდგენა შეუძლია პარლამენტის წევრთა 7 კაციან ჯგუფს (ნაცვლად) 10 კაციანი ჯგუფისა გამომდინარე პარლამენტის რაოდენობის შემცირებიდან.
სახალხო დამცველი საანგარიშო მოხსენებას პარლამენტს წარუდგენს არა ორჯერ წლის განმავლობაში, როგორც ეს მოქმედი კანონით არის დადგენილი, არამედ – ერთხელ კალენდარული წლის მარტში.
წარმოდგენილი კანონპროექტით ასევე ხდება მოქმედი კანონის სტრუქტურის დახვეწა იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით.

ბ)კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ხარჯებს. ეროვნული პრევენციული ფუნქციების განმახორციელებელი ჯგუფის ჩამოყალიბება მოხდება სახალხო დამცველისთვის გამოყოფილი დაფინანსებიდან

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ ითვალსიწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპრეოქტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის თანახმად, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს ემატება 25[1] მუხლი, რომლის თანახმად, სახალხო დამცველის აპარატი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს მისი ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას. ამასთან, სახალხო დამცველის საქმიანობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები არ უნდა იყოს წინა წლის ხარჯების ოდენობაზე ნაკლები.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალსიწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით ხდება იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც საქართველოს აქვს აღებული გაეროს ,'წამებისდა სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ "კონვენციის ფაკულტატური ოქმის მიღების შედეგად

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებბებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი შეფასებები არ არსებობს.

დ. გ. კანონპროექტის ავტორი;

პარლამენტის წევრი ნაზი არონია

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრი – ნაზი არონია